ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის დებულება

დამტკიცებული:

სენატის სხდომის ოქმი N3.

თარიღი: 07.02.2025 წ.

დადგენილება N51.

ცვლილება:

სენატის სხდომის ოქმი N6.

თარიღი: 05.09.2025 წ.

დადგენილება N62.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) სამეცნიერო - კვლევითი ცენტრი (შემდგომში - „ცენტრი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს;

1.2. ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო - კვლევითი პროექტების განხილვის, დამტკიცების და მასში მონაწილეობის წესის, უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი რეგულაციების და ამ დებულების შესაბამისად. ასევე, ცენტრს აქვს სამოქმედო სტრატეგია მკაფიო - შესაფასებელი მიზნებით და მიღწევადი სამიზნე ნიშნულებით (დანართი N1);

1.3. ცენტრის მისიაა უნივერსიტეტში კვლევის კულტურის გაძლიერება, კვლევითი შესაძლებლობების მხარდაჭერა, ინოვაციის განვითარება და მეცნიერების ინტეგრირება სასწავლო პროცესში;

1.4. ცენტრის ხედვაა მოცემული სტრუქტურული ერთეული უნივერსიტეტის შიგნით ჩამოყალიბდეს, როგორც აქტიური კვლევითი ჰაბი, რომელიც ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო კომუნიკაციით და ინფორმაციის ინტეგრირებით გახდება ინოვაციების შემქმნელი პლატფორმა.

მუხლი 2. ცენტრის მიზანი, ამოცანები და ფუნქციები

2.1. უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიზანია:

ა. ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო პოტენციალის განვითარებაში. დაეხმაროს სამეცნიერო კვლევების განხორციელებაში, რომლებიც ორიენტირებულია არსებული ცოდნის გაფართოებასა და ახლის შექმნაზე. უზრუნველყოს კვლევის შედეგად შექმნილი ცოდნის გაზიარება საზოგადოებაში, როგორც ეროვნულ აგრეთვე საერთაშორისო დონეზე;

ბ. უზრუნველყოს სტუდენტთა ჩართულობა სამეცნიერო - კვლევით საქმიანობაში და ხელი შეუწყოს სტუდენტთა სამეცნიერო - კვლევითი უნარების განვითარებას;

გ. შექმნას სათანადო პირობები აკადემიური პერსონალის კვლევითი პროდუქტიულობის გასაზრდელად;

დ. განახორციელოს შესაბამისი მოქმედებები სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტების ინტეგრირებისათვის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში;

ე. უზრუნველყოს რეგიონულ და უცხოურ უნივერსიტეტებთან, ორგანიზაციებთან, სამეცნიერო ცენტრებთან კავშირების დამყარება და არსებული კავშირების გაღრმავება.

2.2. უნივერსიტეტის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის ამოცანები:

ა. ინსტიტუციის კვლევითი მიმართულებების პრიორიტეტულობის პერიოდული განსაზღვრა;

ბ. კვლევითი საქმიანობის პოტენციალის ზრდა;

გ. შემოქმედებითი საქმიანობის პოტენციალის ზრდა;

დ. სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის გაღრმავება და მხარდაჭერა;

ე. სამეცნიერო - კვლევითი პროექტის/პროექტების განხორციელება 2 (ორი) წელიწადში ერთხელ;

ვ. სამეცნიერო - კვლევითი პროექტის/პროექტების განხორციელებაზე მონიტორინგი;

ზ. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მოწყობა;

თ. საერთაშორისო პროექტებში და სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობის ზრდა;

ი. უნივერსიტეტის მთელი საუნივერსიტეტო საზოგადოებისათვის კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა.

2.3. ცენტრის ფუნქციები:

ა. უნივერსიტეტში მოქმედი სკოლის დეკანებთან ერთად სამეცნიერო - კვლევითი ღონისძიებების ყოველწლიური გეგმის შემუშავება. პერიოდულად, უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული თანამშრომლობა და სამეცნიერო კვლევითი პროექტების პრიორიტეტულობის განსაზღვრა;

ბ. სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის, პროექტების ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა, ადმინისტრირება და ჩატარების ხელშეწყობა;

გ. სამეცნიერო - კვლევით პროექტებში მონაწილეობისა და მათი განხორციელების ხელშეწყობის მიზნით კონტაქტების დამყარება და თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან - ეკონომიკურ აგენტებთან;

დ. უნივერსიტეტის სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების სრულყოფილად განხორციელების მიზნით პროცესების მიმდინარეობის მონიტორინგი. სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის სრულყოფილად განხორციელების მიზნით წლიური ანგარიშის მომზადება.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა

3.1. ცენტრს ჰყავს ხელმძღვანელი და მთავარი სპეციალისტი, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

3.2. ცენტრის ხელმძღვანელი:

ა. ხელმძღვანელობს და წარმართავს ცენტრის საქმიანობას და პასუხისმგებელია ცენტრზე დაკისრებული მიზნების, ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

ბ. წარმოადგენს ცენტრს ინსტიტუციის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან;

გ. ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის და კვლევითი პროექტების ეფექტურ განხორციელებას;

დ. ახორციელებს სამეცნიერო - კვლევითი პროექტის/პროექტების მონიტორინგს;

ე. ხელს უწყობს უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული საქმიანობის შესაბამისობას სამეცნიერო - კვლევით საქმიანობასთან;

ვ. სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი თავისი საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე ყოველწლიურად შეიმუშავებს ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურს;

ზ. მონაწილეობს უნივერსიტეტის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში.

3.3. ცენტრის მთავარი სპეციალისტის ფუნქციებია:

ა. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების დაგეგმვა, მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფა, სარედაქციო კოლეგიის ჩამოყალიბება, აკადემიური ნაშრომების გამოქვეყნება უნივერსიტეტის რეფერირებად ჟურნალში;

ბ. სტუდენტთა შერჩევა სამეცნიერო კვლევებში ჩართვის მიზნით (სურვილის შემთხვევაში) გასაუბრებისა და მათი აკადემიური მოსწრების საფუძველზე;

გ. შესაბამისი მატერიალურ - ტექნიკური ბაზის შექმნა სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით;

დ. სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარების ხელშეწყობა - სამეცნიერო გრანტები, ერთობლივი სამეცნიერო კვლევები, შესაბამისი სფეროს სპეციალისტების/მეცნიერების მოწვევა ლექცია - სემინარების ჩატარების მიზნით;

ე. ცენტრის ხელმძღვანელის მიერ გაცემული სხვა დავალებების შესრულება სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის ფარგლებში.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

4.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი;

4.2. უნივერსიტეტის წინამდებარე დებულება მოქმედებს ხელმოწერისთანავე;

4.3. დებულების მიღება, გაუქმება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ;

4.4. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.

დანართი 1

სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის სტრატეგია 2025 - 2031

„ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ სამეცნიერო - კვლევითი სტრატეგიის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს შიდასაუნივერსიტეტო დონეზე კვლევითი საქმიანობის გაღრმავებას. დაეხმაროს აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს განავითარონ კვლევითი უნარები. სამეცნიერო - კვლევითი

საქმიანობა წარმოადგენს საუნივერსიტეტო საქმიანობის განუყოფელ ნაწილს შესაბამისად, ინსტიტუციის გაძლიერების ერთ - ერთი კარდინალურად მნიშვნელოვანი კომპონენტი სწორედ სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა და მისი ეფექტური განხორციელებაა.

სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის სტრატეგია მიზნად ისახავს ნათლად ჩამოაყალიბოს ის სამიზნე ნიშნულები, რომელთა მიღწევაც ხელს შეუწყობს ინსტიტუციის კვლევითი საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას.

„ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი", როგორც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ინსტიტუცია ხელს უწყობს აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს განავითარონ სამეცნიერო - კვლევითი უნარები.

წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს უნივერსიტეტის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის განვითარების სტრატეგიას, მისი მიზნების მიღწევის გზებს, პრიორიტეტებსა და მოსალოდნელ შედეგებს.

სტრატეგიული მიზნები და ამოცანები:

მიზანი 1: კვლევითი შესაძლებლობების განვითარება;

მიზანი 2: სამეცნიერო კვლევითი პროექტების განხორციელება;

მიზანი 3: კვლევის ინტეგრირება სასწავლო პროცესში;

მიზანი 4: სამეცნიერო კონფერენციების მოწყობა;

მიზანი 5: მესამე მისიის გაძლიერება.

წლიური სამოქმედო გეგმა:

- კვლევითი ტრენინგები - მინიმუმ 4 - ჯერ წელიწადში;
- სამეცნიერო კვლევითი პროექტების დაგეგმვა/განხორციელება - 2 წელიწადში ერთხელ;
- დასრულებული სამეცნიერო კვლევითი პროექტების კომერციალიზაცია - შეძლებისდაგვარად;
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები - მინიმუმ 1 - ჯერ წელიწადში;
- კვლევითი სემინარების მოწყობა - მინიმუმ 4 - ჯერ წელიწადში;

- პუბლიკაციების მხარდაჭერა კომპეტენციის ფარგლებში.

თანამშრომლობის ქსელი:

- ადგილობრივი პარტნიორები;
- საერთაშორისო პარტნიორები;
- Erasmus+ პროგრამების ფარგლებში პარტნიორები;
- სახელმწიფო სექტორი;
- კერძო სექტორი;
- კერძო კვლევითი ცენტრები.

რესურსები:

- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- საერთაშორისო სამეცნიერო ბაზები;
- შიდა საუნივერსიტეტო გრანტი.

შეფასების მექანიზმი:

უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახური წელიწადში ერთხელ მოახდენს სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის საქმიანობის შეფასებას მის მიერ წარდგენილი წლიური ანგარიშის საფუძველზე.